ხანძთა

შუა საუკუნების მონასტერი, დააარსა გრიგოლ ხანძთელმა.

VIII ს. დასასრულს ააგეს ხის ეკლესია. შემდგომ ხანაში აიგო ქვის ტაძარი. საბოლოო სახე ხანძთამ მიიღო

ერისთავთერისთავ გურგენ IV-ის დროს (941). (ხუროთმოძღვარი - მამონა). ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა.

ტბეთი

ჯვარგუმბათიანი ტაძარი, მოხატული ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით; კულტურის კერა, რელიგიური ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში, შავშეთში. X ს. დასაწყისში აიგო საკათედრო ტაძარი და დაინიშნა პირველი ეპისკოპოსი. XI ს.-ში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესიისაგან. ამიერიდან სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ხელისუფლებაც - შავშეთის ერისთავობაც უბოძა. ტბეთში საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა მრავალი მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები, ტბეთის სახარება (995) და სხვ.

ოპიზა

ოპიზაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, იოანე ოპიზელი, ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზრები და სხვ. ოპიზა უძველეს მონასტერთაგანია. იგი ერთ-ერთი პირველი აღადგინეს არაბთა შემოსევის შემდეგ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. მონასტრის მთავარმა ნაგებობამ, ჯვაროვან-გუმბათოვანმა ეკლესიამ საბოლოო სახე მიიღო XIII ს.-ში.

შატბერდი

შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა (ე. წ. "საქართველოს სინაი"). შატბერდის მონასტერი დააარსა გრიგოლ ხანძთელმა (IX ს. II ნახ.).



არტანუჯი

მდებარეობს მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე. ტრადიციის მიხედვით, არტანუჯის ციხე ვახტანგ გორგასალს აუგია. VIII ს. I ნახევარში მურვან ყრუმ დაანგრია. IX ს.-ში განაახლა აშოტ I კურაპალატმა. მანვე დააარსა აქ ქალაქი და ააგო ეკლესია. X ს.-ში გამაგრებული და დიდი რაბათის მქონე არტანუჯი, მნიშვნელოვანი საგაჭრო ცენტრი და კლარჯეთის დედაქალაქი იყო. ახლა სოფელია.

დაბეჭდილია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით

ოშკი

X ს. 50-60-იანი წწ. ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სამონასტრო ცენტრი, ისტორიულ ტაოში, თორთუმის წყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე.

მთავარი ტაძრის გარდა შემონახულია სემინარია-სატრაპეზო და მცირე ეკლესიები. ოშკის ტაძარი აგებულია საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრუქციაზე, რომელშიც სამარხებია მოწყობილი. სამონასტრო ცენტრი დააფუძნეს ტაოს მფლობელმა ბაგრატიონებმა - ბაგრატ ერისთავთერისთავმა და დავით III კურაპალატმა.

ოშკი ძვ. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ტაოში. ჩვენამდე მოღწეულია ოშკის მონასტერში შექმნილი ხელნაწერები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოშკის ბიბლია (978), რომელიც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული.

ოთხთა ეკლესია

X ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა, ჭოროხის ხეობაში. იგი ჰარხლის ეკლესიასთან ერთად გვიანდელი ხანის ბაზილიკების უმნიშვნელოვნელოვანესი ნიმუშია. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო სემინარიის დიდი სამნავიანი შენობაა. აქვეა მცირე ზომის საძლოცველო, რომლის ქვეშაც სამარხია მოთავსებული.

ხახული

შუა საუკუნეების მონასტერი, ხუროთმოძღვრების ძეგლი, ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა ისტორიულ ტაოში, მდ. ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე.

დააარსა დავით III კურაპალატმა (X ს. II ნახევარი). არსებობდა მმლავრი ლიტერატურული კერა. ხახულში მიიღო სწავლა-განათლება გიორგი მთაწმინდელმა.

კავკასიძეების ციხე

ციხესიმაგრე ჭოროხის ხეობაში. ჩანს, საუკუნეთა განმავლობაში მრავალჯერ გადაუკეთებიათ.

იშხანი

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდ. ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე. თავდაპირველი ეკლესია VII ს. 30-იანი წლებისაა. არაერთგზისი გადაკეთება-განახლების შემდეგ საბოლოო სახე ტაძარმა 1032წ. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო.



დოლისყანა

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. ტაძრის მშენებლობა დასრულდა X ს.-ის შუა წლებში სუმბატ კურაპალატის დროს. მდებარეობს მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე. ჯვარგუმბათიანი ეკლესიაა.